5 ბ 3
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 1

1984

39

# მაღლესი საბჭოს

# უწყებები

ართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (481) იანვარი 1984 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე შეტანილი წინადადებების შესახებ.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის სახელზე შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების, განცხადებებისა და საჩივრების შესახებ.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ვ. თაქთაქიშვილის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების 26-ე მუხლის შევსების თაობაზე.
5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. გ. ბადურაშვილის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

### საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ვ. გ. ლორთქიფანიძისა და ს. პ. გუდიევას უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ვ. გ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.
8. საქართველოს სსრ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.
9. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
10. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ.
11. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ
12. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის მიერ 1980-1983 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ.
13. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ე. კ. ირემაშვილისა და ი. ხ. გუბაზის ინფორმაციების შესახებ.
14. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რ. გ. ბაიაშვილის, მ. ი. ვოლკოვასა და ლ. ე. კვარაცხელიას მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე.
15. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატების მ. ა. კალპახჩევასა და ს. ხ. ენოქიანის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე.
16. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი „ქ. მარნეულის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 71-ე მუხლში დამატების შეტანის თაობაზე.
17. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.
18. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება „ამხ. გ. ა. ანჩაბაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
19. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.
20. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში ცვლილებათა თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.
21. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## განყოფილება მეორე

22. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ი. ჭედიას მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

23. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის სასწავლებლებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

24. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საშენ მასალათა მრეწველობის დარგის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

25. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ვ. კოლბინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

26. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. მ. არგუნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

27. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. დ. კავთუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

28. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ი. მერკვილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

29. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. მ. სეირანიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

30. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. პ. რურუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

31. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. კ. ქორქიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

32. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ი. გაბარაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

33. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. დ. გაგლოევას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგილით დაჯილდოების შესახებ.

34. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. კ. ბიბილაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

35. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ა. რამიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

36. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ფ. ვ. ჯაიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

37. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ე. მაჩაბლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

38. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. ბარმინას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

39. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ქ. ნ. უკლებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

40. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ი. აგლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

41. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ქ. შ. ჩიხლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

42. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ე. აბულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

43. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. აფხაზავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

44. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. თ. ბერიკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

45. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ბ. ბოჭორიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

46. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ე. დალაქიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

47. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ქ. შუბითიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

48. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ი. ხარაძე-თოდუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



49. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამშენ მასალათა მრეწველობის დარგის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

50. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ს. ვირსალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

# განყოფილება პირველი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 1 საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე შეტანილი წინადადებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე დეპუტატების მიერ შეტანილი წინადადებები განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შედეგების შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და დეპუტატებს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 9 იანვარი.
№ 2252—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 2 საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის სახელზე შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების, განცხადებებისა და საჩივრების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის სახელზე შეტანილი წინადადებები და შენიშვნები, აგრეთვე განცხადებები და საჩივრები, განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და დაევალოთ მათ განხილვის შედეგები აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და ავტორებს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 10 იანვარი.
№ 2253—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 3 ამხ. ო. ვ. თაქთაქიშვილის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ოთარ ვასილის ძე **თაქთაქიშვილი** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობიდან პედაგოგიურ სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 14 იანვარი.
№ 2264—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 4 „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების 26-ე მუხლის შევსების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1982 წ., № 12, მუხ. 371) 26-ე მუხლი შეივსოს შემდეგი შინაარსის აბზაცით:

„მეათე ნაწილში სიტყვები „განზრახი დანაშაული, რისთვისაც მსჯავრი ედება თავისუფლების აღკვეთით", შეიცვალოს სიტყვებით „ახალი დანაშაული".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 16 იანვარი.
№ 2265—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 5 ამხ. თ. გ. ბადურაშვილის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. თეიმურაზ გიორგის ძე **ბადურაშვილი** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 20 იანვარი.
№ 2273—X

## საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 6 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ვ. გ. ლორთქიფანიძის და ს. პ. გუდიევას უფლებამოსილების ცნობის შესახებ

განიხილა რა სამანდატო კომისიის წარდგინება, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის 105-ე მუხლის შესაბამისად **ადგენს:**

ცნობილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ვაჟა გიორგის ძე **ლორთქიფანიძის** და სანეთა პეტრეს ასული **გუდიევას** უფლებამოსილება, რომლებიც აირჩიეს 1983 წლის 14 აგვისტოს ჩოხატაურის რაიონის ბუკისციხის № 306 და ლენინგორის რაიონის წინაგარის № 440 საარჩევნო ოლქებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 7 იანვარი.
№ ს/130—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 7 დეპუტატ ვ. გ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩეულ იქნეს დეპუტატი ვაჟა გიორგის ძე **ლორთქიფანიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 7 იანვარი.
№ ს/131—X

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

## 8 საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით.

**მუხლი 2.** დადგინდეს 1984 წლისათვის საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით მატების შემდეგი ტემპი:

| | (მატება პროცენტობით 1983 წელთან შედარებით) |
|---|---|
| რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავალი . . . . . . | 7,8 |
| მრეწველობის პროდუქცია სულ . . . | 5,3 |
| აქედან: | |
| წარმოების საშუალებათა წარმოება . . . . . . | 5,1 |
| მოხმარების საგნების წარმოება . . . . . . | 5,6 |
| სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში . . . . . . | 7,0 |
| საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა . . . . . . . | 3,0 |
| მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში . . . . . . . | 1,4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მატება პროცენტობით 1983 წელთან შედარებით)

| | |
|---|---|
| შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში . . . . . . . . | 4,2 |
| მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების სამრეწველო საქმიანობიდან | 10,7 |
| რეალური შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე . | 3,7 |
| ხელფასის ფონდი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში . . . . . . . . . . . | 3,4 |
| მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები ერთ სულ მოსახლეზე . . . . . . . . . | 3,4 |
| სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა . . . . . . . . | 6,8 |
| მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა . . . . . . . . | 10,1 |
| ბავშვთა რიცხვი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლამდელ დაწესებულებებში საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში . | 0,4 |
| მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში . . . . . . . | 9,0 |
| კვალიფიციურ მუშათა გამოშვება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებიდან | 3,2 |
| საავადმყოფო საწოლების რაოდენობა . . . . | 1,4 |

აშენდეს 1984 წელს საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებებისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახსრების ანგარიშზე 994 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

**მუხლი 3.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის რეალიზაციის მიმდინარეობისას იხელმძღვანელოს სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით და განახორციელოს ღონისძიებანი განვითარების ინტენსიურ გზაზე საქართველოს სსრ ეკონომიკის გადაყვანის დასაჩქარებლად, სახალხო მეურნეობაში არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობათა უფრო სრულად გამოსავლენად შრომის ნაყოფიერების გადიდების, საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების, პრაქტიკაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა ფართოდ დანერგვის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში სახელმწიფო, საგეგმო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თვის, ნედლეულის, ენერგიის, სამუშაო დროის მომჭირნეობისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საფუძველზე და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს დაზუსტებანი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალურ განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმაში.

მუხლი 4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 7 იანვარი.
№ ს/132-X

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

## 9 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით შემოსავლის ნაწილში 2.809.995 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 2.809.995 ათასი მანეთი, გარდა ამისა, საკასო საბრუნავი სახსრები 1985 წლის 1 იანვრისათვის 75.000 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების საფასური, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობიდან — სულ 2.474.822 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 3.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 1.303.472 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 4.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, ბეჭდვითი სიტყვის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 1.370.461 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით 316.000 ათასი მანეთი.

**მუხლი 5.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და სასამართლოების შესანახად 39.787 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 6.** დამტკიცდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1984 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 2.584.954 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 1.951.430 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში საქართველოს სს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადასაცემი სახსრები 633.524 ათასი მანეთი, გარდა ამისა, საკასო საბრუნავი სახსრები 1985 წლის 1 იანვრისათვის 37.300 ათასი მანეთი.

**მუხლი 7.** დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1984 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა



(ათასი მანეთი)

| | შემოსავალი | მათ შორის ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან | გასავალი | საკასო საბრუნავი სახსრები 1985 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 87.998,0 | 64.850,2 | 87.998,0 | 4.389 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 62.939,0 | 47.742,5 | 62.939,0 | 3.134 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 26.430,0 | 22.369,7 | 26.430,0 | 1.317 |
| 4. ქალაქი თბილისი | 257.626,0 | 157,991,7 | 257.626,0 | 7.700 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 38.351,5 | 26.250,6 | 38.351,5 | 1.918 |
| 6. ქალაქი ფოთი | 10.136,4 | 7.295,5 | 10.136,4 | 507 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 9.969,6 | 8.378,5 | 9.969,6 | 496 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 20.867,7 | 13.988,0 | 20.867,7 | 1.044 |
| 9. ქალაქი გორი | 8.289,0 | 5.150,2 | 8.289,0 | 414 |
| 10. ქალაქი ტყიბული | 5.931,2 | 5.169,5 | 5.931,2 | 378 |
| 11. ქალაქი ზუგდიდი | 7.579,1 | 5.247,4 | 7.579,1 | 379 |
| 12. ქალაქი წყალტუბო | 7.446,5 | 3.387,0 | 7.446,5 | 370 |
| 13. ქალაქი მარნეული | 3.379,3 | 3.079,4 | 3.379,3 | 169 |
| 14. აბაშის რაიონი | 4.935,6 | 4.206,3 | 4.935,6 | 245 |
| 15. ადიგენის რაიონი | 4.026,7 | 3.683,0 | 4.026,7 | 209 |
| 16. ამბროლაურის რაიონი | 4.015,9 | 3.593,7 | 4.015,9 | 190 |
| 17. ასპინძის რაიონი | 3.203,0 | 2.895,1 | 3.203,0 | 159 |
| 18. ახალქალაქის რაიონი | 8.084,4 | 6.892,2 | 8.084,4 | 402 |
| 19. ახალციხის რაიონი | 7.372,1 | 6.318,1 | 7.372,1 | 367 |
| 20. ახმეტის რაიონი | 5.877,2 | 4.443,8 | 5.877,2 | 292 |
| 21. ბოგდანოვკის რაიონი | 6.037,8 | 5.537,0 | 6.037,8 | 300 |
| 22. ბოლნისის რაიონი | 7.283,6 | 5.794,2 | 7.283,6 | 362 |
| 23. ბორჯომის რაიონი | 5.692,9 | 4.613,1 | 5.692,9 | 283 |
| 24. გარდაბნის რაიონი | 9.812,7 | 7.359,8 | 9.812,7 | 488 |
| 25. გეგეჭკორის რაიონი | 6.808,8 | 6.107,5 | 6.808,8 | 338 |
| 26. გორის რაიონი | 8.343,5 | 7.231,5 | 8.343,5 | 414 |
| 27. გურჯაანის რაიონი | 8.831,0 | 7.242,0 | 8.831,0 | 439 |
| 28. დმანისის რაიონი | 5.714,6 | 5.191,5 | 5.714,6 | 283 |
| 29. დუშეთის რაიონი | 6.196,0 | 5.243,0 | 6.196,0 | 307 |
| 30. ვანის რაიონი | 5.312,9 | 4.525,7 | 5.312,9 | 263 |
| 31. ზესტაფონის რაიონი | 8.882,3 | 7.468,0 | 8.882,3 | 442 |
| 32. ზუგდიდის რაიონი | 8.252,8 | 7.036,5 | 8.252,8 | 409 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | შემოსავალი | მათ შორის ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან | გასავალი | საკასო საბრუნავი სახსრები 1985 წლის 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|---|
| 33. თეთრი წყაროს რაიონი . . . . | 4.724,5 | 3.912,8 | 4.724,5 | 235 |
| 34. თელავის რაიონი . . . . . | 9.699,5 | 8.274,0 | 9.699,5 | 483 |
| 35. თერჯოლის რაიონი . . . . | 6.406,8 | 5.047,2 | 6.406,8 | 318 |
| 36. თიანეთის რაიონი . . . . | 3.826,3 | 3.509,1 | 3.826,3 | 190 |
| 37. კასპის რაიონი . . . . . . | 6.391,5 | 5.295,1 | 6.391,5 | 318 |
| 38. ლაგოდეხის რაიონი . . . . | 6.831,2 | 5.740,9 | 6.831,2 | 340 |
| 39. ლანჩხუთის რაიონი . . | 5.602,7 | 4.773,5 | 5.602,7 | 278 |
| 40. ლენტეხის რაიონი . . . . | 3.455,6 | 3.211,3 | 3.455,6 | 171 |
| 41. მაიაკოვსკის რაიონი . . . . | 5.062,9 | 4.407,9 | 5.062,9 | 252 |
| 42. მარნეულის რაიონი . . . . | 7.238,2 | 5.260,7 | 7.238,2 | 359 |
| 43. მახარაძის რაიონი . . . . | 10.964,0 | 8.729,7 | 10.964,0 | 546 |
| 44. მესტიის რაიონი . . . . | 4.614,2 | 4.103,6 | 4.614,2 | 229 |
| 45. მცხეთის რაიონი . . . . | 5.988,7 | 4.654,8 | 5.988,7 | 297 |
| 46. ონის რაიონი . . . . . | 3.232,5 | 2.861,6 | 3.232,5 | 160 |
| 47. ორჯონიკიძის რაიონი . . . | 5.400,6 | 4.828,7 | 5.400,6 | 268 |
| 48. საგარეჯოს რაიონი . . . . | 6.256,6 | 5.300,4 | 6.256,6 | 311 |
| 49. სამტრედიის რაიონი . . . | 7.724,4 | 6.099,0 | 7.724,4 | 385 |
| 50. საჩხერის რაიონი . . . . | 5.873,5 | 4.975,5 | 5.873,5 | 292 |
| 51. სიღნაღის რაიონი . . . . | 6.461,7 | 5.183,0 | 6.461,7 | 322 |
| 52. ქარელის რაიონი . . . . | 6.011,8 | 5.202,9 | 6.011,8 | 299 |
| 53. ყაზბეგის რაიონი . . . . | 2.423,5 | 2.125,2 | 2.423,5 | 121 |
| 54. ყვარლის რაიონი . . . . | 5.922,5 | 4.833,0 | 5.922,5 | 295 |
| 55. ჩოხატაურის რაიონი . . . | 5.004,0 | 4.409,8 | 5.004,0 | 248 |
| 56. ჩხოროწყუს რაიონი . . . | 5.672,6 | 4.627,1 | 5.672,6 | 282 |
| 57. ცაგერის რაიონი . . . . | 4.253,5 | 3.820,9 | 4.253,5 | 211 |
| 58. ცხაკაიას რაიონი . . . . | 6.752,0 | 5.792,0 | 6.752,0 | 336 |
| 59. წალენჯიხის რაიონი . . . | 6.262,5 | 5.368,9 | 6.262,5 | 311 |
| 60. წალკის რაიონი . . . . | 6.367,1 | 5.624,8 | 6.367,1 | 316 |
| 61. წითელწყაროს რაიონი . . | 5.688,4 | 4.753,4 | 5.688,4 | 283 |
| 62. წულუკიძის რაიონი . . . | 5.237,4 | 4.653,9 | 5.237,4 | 261 |
| 63. ხაშურის რაიონი . . . . | 6.587,2 | 5.538,3 | 6.587,2 | 328 |
| 64. ხობის რაიონი . . . . . | 5.000,0 | 4.322,8 | 5.000,0 | 248 |
| ს უ ლ . . . . . . . . | 858.565,0 | 633.524,0 | 858.565,0 | 37.700 |

მუხლი 8. დამტკიცდეს 1984 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან და სსრ კავშირის უცოლო, მარტოხელა, მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან, ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან — 100 პროცენტი;

ბ) 1982 წ. სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციის თანხიდან, მოსახლეობის ნაგებობების, საოჯახო ქონების, ტრანსპორტის საშუალებებისა და ცხოველების ნებაყოფლობითი დაზღვევის, აგრეთვე უბედური შემთხვევებისაგან მოქალაქეთა დაზღვევის გადასახდელებიდან — 50 პროცენტი;

გ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

| | ანარიცხების პროცენტი | |
|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 53 | 33,7 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 70 | 46,8 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 55 | 87,0 |
| 4. ქალაქი თბილისი | 45 | 7,0 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 25 | 12,3 |
| 6. ქალაქი ფოთი | 56 | 84,5 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 20 | 82,8 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 16 | 39,6 |
| 9. ქალაქი გორი | 30 | 93,5 |
| 10. ქალაქი ტყიბული | 20 | 32,7 |
| 11. ქალაქი ზუგდიდი | 15 | 36,9 |
| 12. ქალაქი წყალტუბო | 5 | 4,6 |
| 13. ქალაქი მარნეული | 30 | 44,8 |
| 14. აბაშის რაიონი | 20 | 88,3 |
| 15. ადიგენის რაიონი | 80 | 85,3 |
| 16. ამბროლაურის რაიონი | 65 | 83,4 |
| 17. ასპინძის რაიონი | 100 | 87,3 |
| 18. ახალქალაქის რაიონი | 20 | 63,7 |

| | ანარიცხების პროცენტი | |
|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 19. ახალციხის რაიონი | 20 | 37,2 |
| 20. ახმეტის რაიონი | 65 | 61,9 |
| 21. ბოგდანოვკის რაიონი | 20 | 74,5 |
| 22. ბოლნისის რაიონი | 20 | 72,8 |
| 23. ბორჯომის რაიონი | 20 | 11,0 |
| 24. გარდაბნის რაიონი | 25 | 41,3 |
| 25. გეგეჭკორის რაიონი | 30 | 35,7 |
| 26. გორის რაიონი | 21 | 15,5 |
| 27. გურჯაანის რაიონი | 20 | 60,6 |
| 28. დმანისის რაიონი | 20 | 55,9 |
| 29. დუშეთის რაიონი | 20 | 54,0 |
| 30. ვანის რაიონი | 50 | 82,5 |
| 31. ზესტაფონის რაიონი | 20 | 23,0 |
| 32. ზუგდიდის რაიონი | 20 | 71,2 |
| 33. თეთრი წყაროს რაიონი | 20 | 12,6 |
| 34. თელავის რაიონი | 20 | 25,3 |
| 35. თერჯოლის რაიონი | 20 | 16,1 |
| 36. თიანეთის რაიონი | 60 | 28,5 |
| 37. კასპის რაიონი | 20 | 21,1 |
| 38. ლაგოდეხის რაიონი | 25 | 46,5 |
| 39. ლანჩხუთის რაიონი | 20 | 59,0 |
| 40. ლენტეხის რაიონი | 85 | 62,8 |
| 41. მაიაკოვსკის რაიონი | 50 | 54,0 |
| 42. მარნეულის რაიონი | 15 | 59,7 |
| 43. მახარაძის რაიონი | 20 | 71,2 |
| 44. მესტიის რაიონი | 60 | 81,9 |
| 45. მცხეთის რაიონი | 20 | 86,1 |
| 46. ონის რაიონი | 80 | 71,7 |
| 47. ორჯონიკიძის რაიონი | 50 | 84,9 |
| 48. საგარეჯოს რაიონი | 30 | 7,3 |
| 49. სამტრედიის რაიონი | 20 | 19,8 |
| 50. საჩხერის რაიონი | 50 | 66,6 |
| 51. სიღნაღის რაიონი | 11 | 12,1 |
| 52. ქარელის რაიონი | 20 | 80,4 |

17.810

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ

| | ანარიცხების პროცენტი | |
|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | ბრუნვის გა-დასახადიდან |
| 53. ყაზბეგის რაიონი | 70 | 35,6 |
| 54. ყვარლის რაიონი | 20 | 24,2 |
| 55. ჩოხატაურის რაიონი | 60 | 63,3 |
| 56. ჩხოროწყუს რაიონი | 45 | 86,8 |
| 57. ცაგერის რაიონი | 80 | 86,3 |
| 58. ცხაკაიას რაიონი | 44 | 1,0 |
| 59. წალენჯიხის რაიონი | 45 | 88,9 |
| 60. წალკის რაიონი | 30 | 49,5 |
| 61. წითელწყაროს რაიონი | 40 | 49'7 |
| 62. წულუკიძის რაიონი | 40 | 36,7 |
| 63. ხაშურის რაიონი | 63 | 1,4 |
| 64. ხობის რაიონი | 20 | 88,1 |

**მუხლი 9.** გადაეცეს სოფლის რაიონების ბიუჯეტებს (შემდგომში სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტებში გადასაცემად) საქართველოს სს რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსული ბრუნვის გადასახადის ნაწილი, გამოანგარიშებული სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვასთან პროცენტობით, შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 30 |
| ქალაქი ჭიათურა | 40 |
| ქალაქი ტყიბული | 35 |
| ქალაქი წყალტუბო | 35 |
| აბაშის რაიონი | 23 |
| ადიგენის რაიონი | 31 |
| ამბროლაურის რაიონი | 20 |
| ასპინძის რაიონი | 32 |
| ახალქალაქის რაიონი | 12 |
| ახალციხის რაიონი | 18 |
| ახმეტის რაიონი | 12 |
| ბოგდანოვკის რაიონი | 15 |
| ბოლნისის რაიონი | 13 |
| ბორჯომის რაიონი | 8 |
| გარდაბნის რაიონი | 5 |
| გეგეჭკორის რაიონი | 17 |
| გორის რაიონი | 7 |
| გურჯაანის რაიონი | 3 |
| დმანისის რაიონი | 28 |
| დუშეთის რაიონი | 19 |
| ვანის რაიონი | 16 |
| ზესტაფონის რაიონი | 10 |
| ზუგდიდის რაიონი | 12 |
| თეთრი წყაროს რაიონი | 14 |
| თერჯოლის რაიონი | 9 |
| თელავის რაიონი | 11 |
| თიანეთის რაიონი | 28 |
| კასპის რაიონი | 6 |
| ლაგოდეხის რაიონი | 7 |
| ლანჩხუთის რაიონი | 9 |
| ლენტეხის რაიონი | 45 |
| მაიაკოვსკის რაიონი | 15 |
| მარნეულის რაიონი | 9 |
| მახარაძის რაიონი | 4 |
| მესტიის რაიონი | 35 |
| მცხეთის რაიონი | 5 |
| ონის რაიონი | 21 |
| ორჯონიკიძის რაიონი | 30 |
| საგარეჯოს რაიონი | 8 |
| სამტრედიის რაიონი | 8 |
| საჩხერის რაიონი | 16 |
| სიღნაღის რაიონი | 8 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქარელის რაიონი | 16 | წალენჯიხის რაიონი | 14 |
| ყაზბეგის რაიონი | 34 | წალკის რაიონი | 21 |
| ყვარლის რაიონი | 14 | წითელწყაროს რაიონი | 11 |
| ჩოხატაურის რაიონი | 16 | წულუკიძის რაიონი | 13 |
| ჩხოროწყუს რაიონი | 16 | ხაშურის რაიონი | 9 |
| ცაგერის რაიონი | 27 | ხობის რაიონი | 15 |
| ცხაკაიას რაიონი | 12 | | |

**მუხლი 10.** დამტკიცდეს ანარიცხები (პროცენტობით) 1984 წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ადგილობრივ ბიუჯეტებში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, კვების მრეწველობის სამინისტროების, საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის, ხოლო ქალაქ ფოთის ბიუჯეტში სხვა სამინისტროებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების თავისუფალი ნაშთიდან პროცენტობით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ „საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" 1984 წლის 4 იანვრის № 4 დადგენილებით მიღებული ოდენობით.

**მუხლი 11.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც დეპუტატებმა გამოთქვეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე, და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 7 იანვარი.

№ ს/133—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 10 საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ახორციელებდა საჭირო ღონისძიებებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების წინადადებანი და შენიშვნები, აგრეთვე, წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე გამოთქვეს დეპუტატებმა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების საკითხზე, და სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე განახორციელოს ღონისძიებანი 1984 წლის საგეგმო დავალებათა წარმატებით შესასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 7 იანვარი.
№ ს/134—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 11 საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში — 2.755.467 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში — 2.711.477 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 43.990 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 7 იანვარი.
№ ს/135—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 12 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის მიერ 1980-1983 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ 1980-1983 წლებში გარკვეული მუშაობა გასწია სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნათა, სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების დადგენილებათა შესასრულებლად.

კომისია მუშაობაში დიდ ყურადღებას უთმობდა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებს, სხდომებზე იხილავდა სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევების დანერგვის, შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დაცვის, პირადი დამხმარე მეურნეობების, კოლექტიური მებაღეობის განვითარებისა და სხვა საკითხებს.

კომისიის სხდომებისათვის საკითხების მომზადებასა და განხილვაში დეპუტატებთან ერთად მონაწილეობდნენ შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები, სპეციალისტები.

განვლილ პერიოდში კომისია კონტროლს უწევდა აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი ყველა უწყების მიერ საგეგმო დავალებათა შესრულებას, სასურსათო პროგრამის რეალიზაციას, რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებებისა და ადგილობრივი საბჭოების მიერ სოფლის მეურნეობის საკითხებზე საკანონმდებლო აქტების შესრულებას, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებსა და კომისიის სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების განხორციელებას.

მიმდინარე ხუთწლედში გატარებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყვეს მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის გადიდება.

მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა მეცხოველეობაში; გაიზარდა პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა, ხორცის, რძის, კვერცხის შესყიდვა.

ფართოვდება საზოგადოებრივი და პირადი დამხმარე მეურნეობების სამეურნეო და ეკონომიკური ურთიერთკავშირი.

რესპუბლიკის სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები, სახალხო დეპუტატთა საბჭოები სათანადო ღონისძიებებს ახორციელებენ სოფლის მეურნეობის კომისიის რეკომენდაციათა შესასრულებლად.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა კომისიის რეკომენდაციის შესასრულებლად შეიმუშავა და დაამტკიცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სარემონტო სახელოსნოების, ტექნიკური მომსახურების პუნქტების მშენებლობის, ავტოგარაჟების, სამანქანო ეზოების, მაგარსაფარიანი მოედნების მოწყობის პერსპექტიული გეგმები. კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად რესპუბლიკაში სერიოზული ყურადღება დაეთმო სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადებასა და ადგილზე დამაგრებას.

ამასთან ერთად კომისიის მუშაობაში შეინიშნება ნაკლოვანებებიც. იგი სათანადო გავლენას ვერ ახდენს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვისა და მეურნეობრიობის სრულყოფაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების საბოლოო მაღალი შედეგების მისაღწევად, საჭირო მომთხოვნელობას არ იჩენს იმ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან კომისიის რეკომენდაციათა განხილვა-შესრულებას. სუსტია კომისიის კავშირი სხვა მუდმივ კომისიებთან სოფლის სოციალურ-კულტურული პრობლემების გადაწყვეტისადმი კონტროლის საქმეში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის საქმიანობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას:

თავის საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმების დადგენილებათა მოთხოვნებით;

გააძლიეროს კონტროლი რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის განხორციელების მიმდინარეობისადმი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების უთუო შესრულების ორგანიზაციის, დანაკარგებისა და უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლის, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის კადრების მომზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებისადმი.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს სისტემატურად სრულყონ მუშაობის ფორმები და მეთოდები; უზრუნველყონ თავიანთი ზეგავლენის გაძლიერება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, სულიერი ცხოვრების ყველა დარგზე, განსაკუთრებით სამინისტროებსა, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში მეურნეობრიობისა და მართვა-გამგებლობის სრულყოფის, სახელმწიფო, საგეგმო და შრომის დისციპლინის განმტკიცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბის საქმეზე; მკვეთრად გააუმჯობესონ მიღებულ რეკომენდაციათა შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი.

4. დაევალოთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

გააძლიერონ ხელმძღვანელობა აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალი წარმოება-დაწესებულებებისადმი, მეტი პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მათ მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებაში, საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაციასა და ურთიერთმოქმედებაში, უწყებრიობის დაძლევაში, სამეურნეო ანგარიშის, ბრიგადული იჯარის, შრომის ორგანიზაციის და წარმოების სხვა პროგრესული ფორმების ფართოდ დანერგვაში;

განახორციელონ საჭირო ღონისძიებები საბჭოების მუდმივ კომისიათა ფორმირების პრაქტიკის სრულყოფისათვის, მათი საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად;

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლის ტექსტში მოცემულ მითითებათა შესასრულებლად გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

5. რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის უთუო შესრულების მიზნით დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიას და კომპლექსში შემავალ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს ფართოდ დანერგონ სოფლის მეურნეობაში მეცნიერების თანამედროვე მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, მიაღწიონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების უთუო განხორციელებას, მიიღონ ზომები პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის დავალებათა გასანაღდებლად, აგრეთვე წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ მუდმივი კომისიების რეკომენდაციათა შესრულების ორგანიზაციას, დეპუტატთა მიერ დაყენებული საკითხების შესწავლას და მათზე რეაგირებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 7 იანვარი.
№ ს/136—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 13 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ე. კ. ირემაშვილისა და ი. ხ. გუბაზის ინფორმაციების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ე. კ. ირემაშვილისა და ი. ხ. გუბაზის ინფორმაციები მათ მიერ სადეპუტატო მოვალეობათა შესრულების შესახებ, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ შ. ვ. ყარყარაშვილის ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.

2. მოწონებულ იქნეს დეპუტატების ე. კ. ირემაშვილისა და ი. ხ. გუბაზის საქმიანობა თავიანთ საარჩევნო ოლქებში.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა მეტი დახმარება გაუწიონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს საარჩევნო ოლქებში სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებაში, შეუქმნან საჭირო პირობები რეგულარული ანგარიშგებისა და ამომრჩევლებთან შეხვედრების ჩასატარებლად, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისათვის, მათი წინადადებებისა და საჩივრების განსახილველად; მიაწოდონ დეპუტატებს საჭირო საცნობარო მასალები სახალხო-სამეურნეო გეგმების, ბიუჯეტის შესრულების შესახებ და სხვა საინფორმაციო მასალები.

4. სამინისტროებმა, უწყებებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა დროულად მოახდინონ რეაგირება დეპუტატთა კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე, აამაღლონ საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა დეპუტატთა წინადადებებისა და წერილების დროულად განხილვისათვის, მუდმივი ყურადღება დაუთმონ ამომრჩეველთა განაწესებს და გამოძებნონ დამატებითი შესაძლებლობები მათი შესასრულებლად.

5. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ განიხილოს დეპუტატ ი. ხ. გუბაზის, ხოლო საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა — დეპუტატ ე. კ. ირემაშვილის ინფორმაციებში დაყენებული საკითხები და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ აცნობონ მათ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

6. რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა და საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ფართოდ და უფრო სრულად გააშუქონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საქმიანობა საარჩევნო ოლქებსა და შრომითს კოლექტივებში.

7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის მოთხოვნათა და ამხანაგ ი. ვ.

ანდროპოვის გამოსვლებში მოცემულ მითითებათა შესაბამისად უფრო სრულად გამოიყენონ დეპუტატის უფლებამოსილება, გააქტიურონ თავიანთი საქმიანობა ამომრჩევლებს შორის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის აქტების, საბჭოთა კანონების განსამარტავად. პირადი მაგალითით აღაფრთოვანონ ხალხი ახალი შრომითი მამაცობისათვის, საგეგმო დავალებათა და ვალდებულებათა შესასრულებლად.

8. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მუდმივი დახმარება აღმოუჩინოს დეპუტატებს მათს საქმიანობაში.

საბჭოების მუშაობის საკითხებისა და მუდმივი კომისიების მუშაობის განყოფილებებმა გააძლიერონ კონტროლი ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისადმი, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე გამოთქმული დეპუტატთა წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 7 იანვარი.
№ ს/137—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 14 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რ. გ. ბაიაშვილის, მ. ი. ვოლკოვასა და ლ. ე. კვარაცხელიას მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დეპუტატების რ. გ. ბაიაშვილის, მ. ი. ვოლკოვასა და ლ. ე. კვარაცხელიას მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე — „როგორ ასრულებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებას სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების, მომსახურების პროგრესული ფორმების დანერგვის დარგში, საყოფაცხოვრებო სამსახური მომსახურების რა ახალ სახეობებს სთავაზობს სოფლის მოსახლეობას და როგორია 1984 წლის პერსპექტივები?" — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის დეპუტატ ვ. ა. სობოლევის პასუხი მიღებულ იქნეს ცნობად.

2. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ უზრუნველყოს მოსახლეობისათვის განკუთვნილი მომსახურების მოცულობისა და სახეების თანამიმდევრული გაფართოება მათზე მზარდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრულად დასაკმაყოფილებლად მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვის, მოსახლეობის მომსახურების სფეროს დარგებისა და საწარმოების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირეულ გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 7 იანვარი.
№ ს/138—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 15 დეპუტატების მ. ა. კალპახჩევასა და ს. ხ. ენოქიანის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დეპუტატების მ. ა. კალპახჩევასა და ს. ხ. ენოქიანის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე — „როგორია რესპუბლიკის, კერძოდ წალკის რაიონის გაზით მომარაგების გაუმჯობესების პერსპექტივები?“ — საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ბ. თ. ლობჟანიძის პასუხი მიღებულ იქნეს ცნობად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს განიხილოს უახლოეს წლებში წალკის რაიცენტრისაკენ გაზსადენ-განშტოების მშენებლობის საკითხი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 7 იანვარი.
№ ს/139—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

## 16 „ქ. მარნეულის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 71-ე მუხლში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 22 ივნისის ბრძანებულება „ქ. მარნეულის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 71-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვის „ზუგდიდი“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „მარნეული“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 7 იანვარი.
№ ს/140—X

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

## 17 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1983 წლის 21 ივნისისა „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“;

1983 წლის 18 ივლისისა „საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ“;

1983 წლის 22 აგვისტოსი „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;

1983 წლის 27 სექტემბრისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ“;

1983 წლის 21 ოქტომბრისა „საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

1983 წლის 3 ნოემბრისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“;

1983 წლის 20 დეკემბრისა „საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“;

1983 წლის 23 დეკემბრისა „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 7 იანვარი.
№ ს/141—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 18 „ამხ. გ. ა. ანჩაბაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 28 სექტემბრის ბრძანებულება „ამხ. გ. ა. ანჩაბაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 7 იანვარი.
№ ს/142—X

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 19 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1983 წლის 29 ივლისისა — ამხ. ნ. ღ. რუხაძის საქართველოს სსრ მინისტრად — საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ;

1983 წლის 14 სექტემბრისა — ამხ. ო. ვ. ქვილითაიას საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1983 წლის 30 სექტემბრისა — ამხ. ო. ი. ლოლაშვილის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით;

1983 წლის 23 ნოემბრისა — ამხ. ნ. გ. ვაშაძის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1983 წლის 23 ნოემბრისა — ამხ. ნ. ნ. ნეფედოვის საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1983 წლის 25 ნოემბრისა — ამხ. ე. ს. მაღრაძის საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით;

1983 წლის 9 დეკემბრისა — ამხ. ვ. გ. ბაქრაძის საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 7 იანვარი.

№ ს/143—X

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 20 საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში ცვლილებათა თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1983 წლის 6 ივნისისა „ამხ. დ. ა. ლორიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ";

1983 წლის 22 ივნისისა „ამხ. გ. ნ. ყოლბაიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ";

1983 წლის 4 აგვისტოსი „ამხ. ო. ი. ღლონტის საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დამტკიცების შესახებ";

1983 წლის 19 სექტემბრისა „ამხ. თ. ი. დონჯაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 7 იანვარი.

№ ს/144—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 21 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდნენ დეპუტატები:

გივი ალექსის ძე ანჩაბაძე — შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ნეფედოვი — ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 7 იანვარი.

№ ს/145—X

ეროვნული ბიბლიოთეკა



## განყოფილება მეორე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 22 ამხ. გ. ა. ჭედიას მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი, შინაგანი სამსახურის კაპიტანი გურამ ანდროს ძე **ჭედია** დაჯილდოვდეს მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის"**.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1984 წლის 13 იანვარი.
№ 2256—X

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 23 რესპუბლიკის სასწავლებლებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის მიენიჭოს საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე"**

**ქეშელაშვილს** გრიგოლ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიწათმოქმედების კათედრის პროფესორს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და სოფლის მეურნეობის კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი"**

**ბარბაქაძეს** ანტონინა ქრისტეფორეს ასულს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

**ბენდიანიშვილს** ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

**ბერაიას** იასონ კალისტრატეს ძეს — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

**კოპალიანს** ლეო უფლისას ძეს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

**ნასარიძეს** სიმონ ვლადიმერის ძეს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

**რევიშვილს** მერი ვარლამის ასულს — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

**ფაჩულიას** რაჟდენ ანდრიას ძეს — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პრორექტორს.

**ფრუიძეს** ვახტანგ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პრორექტორს.

**შალამბერიძეს** გიორგი ალექსანდრეს ძეს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანს.

რესპუბლიკის სასწავლებლებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და სოფლის მეურნეობის კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი“**

**ამბოკაძეს** ეთერ ვლადიმერის ასულს — გორის ექსპერიმენტული საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მასწავლებელს.

**ბახტაძეს** ნოდარ ნიკოლოზის ძეს — წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმის მასწავლებელს.

**დევიძეს** ვარლამ ანდრიას ძეს — ჩოხატაურის რაიონის გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

**დოლიძეს** გალინა ერემის ასულს — მახარაძის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

**ლაბარტყავას** ზინა ევგენის ასულს — გალის რაიონის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მასწავლებელს.

**ლეჟავას** დავით იასონის ძეს — სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეს.

**მოწერელიას** მარგალიტა პიმენის ასულს — გეგეჭკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

**მოსეშვილს** ნოე გრიგოლის ძეს — წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმის მასწავლებელს.

**ნანავას** ტრიფონ ძუკუს ძეს — ზუგდიდის რაიონის ზედა ეწერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

**პაპუაშვილს** დავით ვასილის ძეს — სიღნაღის რაიონის წნორის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის მასწავლებელს.

**ჟორდანიას** კლიმენტი ივანეს ძეს — გეგეჭკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეს.

**სანიკიძეს რამიზ ყემბერის ძეს** — ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

**უგრეხელიძეს** შოთა გიორგის ძეს — წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმის მასწავლებელს.

**უთიაშვილს** ბარბარე ფირუზის ასულს — ახალციხის სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მასწავლებელს.

**ფანცულაიას** ივანე გალაქტიონის ძეს—წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმის მასწავლებელს.

**ქუთათელაძეს** ბიძინა ვასილის ძეს — წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმის მასწავლებელს.

**ჩუბინიძეს** თინა ნესტორის ასულს — გარდაბნის რაიონის თელეთის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმის მასწავლებელს.

**ხარგელიას კარლო იონას ძეს** — ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეს.

**ხოსიტაშვილს** ელისაბედ გიორგის ასულს — სიღნაღის რაიონის წნორის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის მასწავლებელს.

**ჯანყარაშვილს** ცისანა ალექსანდრეს ასულს — სიღნაღის რაიონის წნორის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის მასწავლებელს.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“**

**ნადარეიშვილს** ალექსი კონსტანტინეს ძეს—აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მთავარ სახელმწიფო ინსპექტორს.

**ჩირგაძეს** შოთა ესტატეს ძეს — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების“ წყალტუბოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების სამეურნეობათაშორისო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილეს.

**ჭალაგანიძეს** გურამ ივანეს ძეს — საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სახელმწიფო ინსპექციის უფროსს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსი“**

**ჩხეიძეს** დომნა ვლადიმერის ასულს — საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების უმცროს მეცნიერ თანამშრომელს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“**

**ვოგოძეს** გიორგი გერმანეს ძეს—საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სახელმწიფო ინსპექციის უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“

**გულბანს** ეფემია მიხეილის ასულს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უფროს ბუღალტერს.

**გუმბერიძეს** ლუბა ლუარსაბის ასულს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უფროს ბუღალტერს.

**მახათაძეს** დავით ტარასის ძეს — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლდამზადების“ განყოფილების უფროსს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

**ხორავას** ალექსანდრე გრიგოლის ძეს — ფოთის წისქვილქარხნის დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 18 იანვარი.
№ 2271—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 24 საშენ მასალათა მრეწველობის დარგის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საშენ მასალათა მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საქართველოს საშენ მასალათა კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

**გაგუნაშვილს** დავით სოლომონის ძეს — დირექტორის მოადგილეს.
**ვინერს** ლეონიდ იაკობის ძეს — განყოფილების გამგეს.
**ზედგინიძეს** ეკატერინე ნიკოლოზის ასულს — ლაბორატორიის გამგეს.
**კაკაბაძეს** ნინო ალექსანდრეს ასულს — ლაბორატორიის გამგეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი“

**მაჭარაშვილს** თენგიზ კონსტანტინეს ძეს — ჯგუფის ხელმძღვანელს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

**ბალახვანცევს** ნიკოლოზ მაქსიმეს ძეს — მუშას.
**თანდილოვას** კორნელია ბაგრატის ასულს — სექტორის გამგეს.

**მამალაძეს** რამაზ აკაკის ძეს — საცდელი ქარხნის დირექტორს.
**ჩხიკვაძეს** იოსებ ისიდორეს ძეს — სექტორის გამგეს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი"**

**დარინას** ალექსანდრა პანფილის ასულს — მთავარ ბუღალტერს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 31 იანვარი.
№ 2289—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 25 ამხ. გ. ვ. კოლბინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში აქტიური ნაყოფიერი მუშაობისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში დიდი წვლილისათვის ამხ. გენადი ვასილის ძე კოლბინი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 4 იანვარი.
№ 2240—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 26 ამხ. მ. მ. არგუნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. მეჯით მუსტაფას ძე **არგუნი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 13 იანვარი.
№ 2257—X

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 27 ამხ. ს. დ. კავთუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საგარეჯოს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე ამხ. სოსო დიმიტრის ძე კავთუაშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 13 იანვარი.
№ 2259—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 28 ამხ. გ. ი. მერკვილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი გიორგი ივლიანეს ძე მერკვილაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 13 იანვარი.
№ 2260—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 29 ამხ. ჰ. მ. სეირანიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ

ეროვნული ბიბლიოთეკა



წელთან დაკავშირებით მწერალი ბენიკ მკრტიჩის ძე **სეირანიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 13 იანვარი.
№ 2262—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 30 ამხ. ი. პ. რურუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით მწერალი ილია პარმენის ძე **რურუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 13 იანვარი.
№ 2261—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 31 ამხ. რ. კ. ქორქიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი როდიონ კალენიკეს ძე **ქორქია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 13 იანვარი.
№ 2263—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 32 ამხ. ნ. ი. გაბარაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამხ. ნიკოლოზ იასონის ძე **გაბარაევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 17 იანვარი.
№ 2270ა—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 33 ამხ. ზ. დ. გაგლოევას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ამხ. ზინაიდა დავითის ასული **გაგლოევა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 17 იანვარი.
№ 2270—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 34 ამხ. ბ. კ. ბიბილაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამხ. ბიძინა კონსტანტინეს ძე **ბიბილაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
**საქართველოს სსრ უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 17 იანვარი.
№ 2268—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 35 ამხ. მ. ა. რამიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი მაქსიმე ათანასეს ძე **რამიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
**საქართველოს სსრ უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 17 იანვარი.
№ 2269—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 36 ამხ. ვ. ვ. ჯაიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორი ამხ. ვასილ ვატას ძე **ჯაიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
**საქართველოს სსრ უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 17 იანვარი.
№ 2267—X

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 37 ამხ. ნ. ე. მაჩაბლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის თბილისის კალინინის რაიკომის საერთო განყოფილების გამგე ამხ. ნინო ელიზბარის ასული **მაჩაბელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 20 იანვარი.
№ 2272—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 38 ამხ. ა. ა. ბარმინას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. ასმათ ალექსანდრეს ასული **ბარმინა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 25 იანვარი.
№ 2275—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 39 ამხ. კ. ნ. უკლებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამშენებლო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით „მთავარსაქწყალმშენის“ უფროსის მოადგილე, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. კირილე ნიკიფორეს ძე **უკლება**

დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 26 იანვარი.
№ 2277—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 40 ამხ. ი. ი. აგლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სახელმწიფო-სამელიორაციო ინსპექციის აღმოსავლეთ ქართლის ზონის მთავარი ინჟინერი ამხ. იროდიონ ილიას ძე **აგლაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 27 იანვარი.
№ 2291—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 41 ამხ. კ. შ. ჩიხლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე ამხ. კარლო შალვას ძე **ჩიხლაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1984 წლის 27 იანვარი.
№ 2292—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 42 ამხ. თ. ე. აბულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი კინორეჟისორი თენგიზ ევგენის ძე აბულაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 30 იანვარი.
№ 2279—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 43 ამხ. ა. ა. აფხაზავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ამხ. აკაკი არქიფოს ძე აფხაზავა დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 30 იანვარი.
№ 2280—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 44 ამხ. ი. თ. ბერიკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის დმანისის რაიონული განყოფილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსი ამხ. იოსებ თევდორეს ძე **ბერიკაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 30 იანვარი.
№ 2281—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 45 ამხ. ი. ბ. ბოჭორიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ამხ. იონა ბეგლარის ძე **ბოჭორიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 30 იანვარი.
№ 2283—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 46 ამხ. ბ. ე. დალაქიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი ამხ. ბენიამინ ევგრაფის ძე **დალაქიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 30 იანვარი.
№ 2284—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 47 ამხ. მ. კ. შუბითიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. მურმან კონსტანტინეს ძე შუბითიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 30 იანვარი.
№ 2282—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 48 ამხ. ი. ი. ხარაძე-თოდუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბუნების დასაცავად აქტიური მუშაობისა და დეკორატიული მეყვავილეობის პოპულარიზაციისათვის ამხ. თინათინ ივანეს ასული **ხარაძე-თოდუა** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ **უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 30 იანვარი.
№ 2285—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 49 საშენ მასალათა მრეწველობის დარგის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საშენ მასალათა მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით**

დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საქართველოს საშენ მასალათა კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკები:

**გეგენავა** აკაკი გიორგის ძე — ლაბორატორიის გამგე.

**გლურჯიძე** ვახტანგ ზაქარიას ძე — ტრესტ „საქორგტექსაშენმასალების" დირექტორის მოადგილე.

**დიდიძე** ვიტალი კლიმენტის ძე — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსი.

**ზაალიშვილი** გარი გიორგის ძე — სექტორის გამგე.

**კაკაბაძე** გიორგი მიხეილის ძე — ლაბორატორიის გამგე.

**კვიცარიძე** ოთარ ივანეს ძე — ინსტიტუტის დირექტორი.

**ლომიძე** ნოდარ მიხეილის ძე — ლაბორატორიის გამგე.

**ლუხუმაიძე** სალომე ვაქსოს ასული — საცდელი ქარხნის მხატვარ-შემსრულებელი.

**პაპუაშვილი** სპირიდონ ნიკოლოზის ძე — ლაბორატორიის გამგე.

**ხომერიკი** გრიგოლ პეტრეს ძე — ჯგუფის გამგე.

**ხოჯაშვილი** მერაბ მიხეილის ძე — სექტორის გამგე.

**ჯაფარიძე** ავთანდილ გიორგის ძე — სექტორის გამგე.

**ჯინჭარაძე** გიორგი გიორგის ძე — დირექტორის მოადგილე.

**ჯინჭარაძე** ნინო გიორგის ასული — განყოფილების გამგე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 31 იანვარი.

№ 2288—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 50 ამხ. კ. ს. ვირსალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის, რესპუბლიკის სამედიცინო კადრების მომზადების საქმეში დიდი წვლილისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი კონსტანტინე სპირიდონის ძე **ვირსალაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 31 იანვარი.

№ 2293—X

# განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1984 წლის 6 იანვარს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. სხდომაზე დამტკიცდა საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი, მიღებულ იქნა დადგენილებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანის შესახებ და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების, საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წინასწარ განსახილველად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების მუშაობის დამთავრების თაობაზე.

*

* *

სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის ინფორმაცია სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების შესახებ.

აღინიშნა, რომ მომავალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები უდიდესი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის, ყველა საფეხურის საბჭოების შემდგომი საქმიანობისათვის, მათი ავტორიტეტის ამაღლებისათვის, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის განმტკიცებისათვის.

წლევანდელი საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის დაძაბული ბრძოლის პირობებში.

ახლანდელ საარჩევნო კამპანიას განსაკუთრებულ საპასუხისმგებლო ხასიათს ანიჭებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლის ტექსტში მოცემული ღრმა შეფასება და დასკვნები სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ძირითად მიმართულებებზე.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ:

ეროვნული ბიბლიოთეკა



უზრუნველყონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადება და ჩატარება მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, კონსტიტუციის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის, „სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანალოგიური დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად;

არჩევნებისათვის მზადება ჩაატარონ სოციალისტური სახალხო ხელისუფლების შემდგომი განვითარების, ხალხთა მონოლითური ერთიანობისა და ძმური მეგობრობის, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მუშაობის სრულყოფის, მასების ინიციატივის ამაღლების ნიშნით;

მთელი თავიანთი ძალ-ღონე მოახმარონ მშრომელთა დარაზმვას ხუთწლედის საგეგმო დავალებათა წარმატებით შესასრულებლად, წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გასაფართოებლად, შრომის სოციალისტური დისციპლინის ყოველმხრივ განსამტკიცებლად.

მიაღწიონ, რომ ყველა შრომითი კოლექტივი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, გახდეს 1 პროცენტით შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი გადიდებისა და დამატებით 0,5 პროცენტით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის მოძრაობის აქტიური მონაწილე;

ყოველდღიური დახმარება გაუწიონ საარჩევნო კომისიებს თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებაში, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მშრომელთა, ყველა ამომრჩევლის ფართო, აქტიურ, დაინტერესებულ მონაწილეობას წინასაარჩევნო ღონისძიებებში, წინასაარჩევნო კრებების, ამომრჩევლებთან დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრების ორგანიზაციასა და ჩატარებას, უზრუნველყონ ამომრჩეველთა განაწესების, წინასაარჩევნო კრებებზე შეტანილი მოქალაქეთა სხვა წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვა და შეიმუშაონ მათი რეალიზაციის ღონისძიებანი;

უზრუნველყონ ყველგან მზრუნველი, გულისხმიერი დამოკიდებულება არჩევნებთან დაკავშირებით შემოსული მოქალაქეთა წინადადებების, კრიტიკული შენიშვნების, საჩივრებისა და განცხადებებისადმი, შექმნან მათი აღრიცხვისა და განხილვის ზუსტი სისტემა, აამაღლონ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მშრომელთა წინადადებების დროულად განხილვისა და მიღებული ზომების შესახებ მათი ინფორმირებისათვის.

რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, საქინფორმს და საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დავალება მიეცათ ფართოდ გააშუქონ საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა, სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის ამოცანათა გადაჭრისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



განხილულ იქნა საკითხი მიწის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებისათვის სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების მონაწილეობის შესახებ.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოები, მხარს უჭერენ რა ბელორუსიის კროშინის სასოფლო საბჭოს დეპუტატთა ინიციატივას, ჩაებნენ შეჯიბრება-გადაძახილში, რომელიც მოაწყო თავის ფურცლებზე გაზეთმა „იზვესტიამ" დევიზით „ვაფასებდეთ და ვუფრთხილდებოდეთ მიწას".

გასულ წელს ხობის, ბორჯომის, სიღნაღის, გარდაბნის, თელავის, ოჩამჩირის, წითელწყაროს, დუშეთის, ყვარლის, ახმეტის, წულუკიძის, კასპის, სამტრედიის რაიონებისა და ქ. წყალტუბოს ზონის სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატების, დეპუტატთა ჯგუფების ინიციატივით ათვისებულ იქნა 3.790 ჰექტარი საერთო ფართობის ახალი მიწები, რომლებსაც ეფექტიანად იყენებენ სოფლის მეურნეობაში და რომლებმაც არსებითი როლი შეასრულეს რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში. წლიდან წლამდე იზრდება უკუგება თითოეული ჰექტარიდან.

მიწის რესურსებს აქტიურად ეძიებენ წალკის რაიონის ედიქილისის სასოფლო საბჭოს დეპუტატები. 1983 წლის განმავლობაში ისინი დაეხმარნენ მეურნეობებს ბრუნვაში მოექციათ 244 ჰექტარი ახალი მიწა, რომელზეც წარმოებულია 1.907 ტონა კარტოფილი და 450 ტონა საკვები. ეკონომიკურმა ეფექტმა შეადგინა 308 ათასი მანეთი.

მიწის სწორი, გონივრული გამოყენების საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობენ გორის რაიონის ტყვიავის და ყვარლის რაიონის შილდის სასოფლო საბჭოები.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ყველა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო არ გამოხმაურებია კროშინელთა პატრიოტულ ინიციატივას; ზოგიერთი მათგანი უზრუნველობას იჩენს მიწების გამოყენების საქმეში. თეთრი წყაროს, ახმეტის, ასპინძის, გურჯაანის, ბოგდანოვკის, მცხეთის, წალკის, დმანისის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის, ქარელის, ხაშურის, საგარეჯოს, ბოლნისის, მარნეულის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის რაიონებმა 1983 წელს ახალი მიწების ათვისების დავალებათა შესრულებაც კი ვერ უზრუნველყვეს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 25 აგვისტოს დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონულმა საბჭოებმა ფართოდ გაშალონ მუშაობა სრულიად საკავშირო ლაშქრობაში — „ვუფრთხილდებოდეთ, ეფექტიანად ვიყენებდეთ მიწას“ — ყველა საფეხურის საბჭოების, თითოეული დეპუტატის აქტიურად ჩაბმისათვის;

შეიმუშაონ თითოეული სასოფლო, სადაბო საბჭოს მიხედვით თავიანთ ტერიტორიებზე მიწის რესურსების გამოყენების მდგომარეობის შესწავლის, ახალი სავარგულების გამოვლენისა და ბრუნვაში მათი მოქცევის, თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ყოველი ჰექტარის ეფექტიანობის ამაღლების კონკრეტული პროგრამა;

გააძლიერონ კონტროლი მიწათსარგებლობის შესახებ და სოფლის მეურნეობის საკითხებზე კანონმდებლობის განუხრელად დაცვისადმი. გააქტიურონ ამ მიმართულებით რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების და მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, დეპუტატთა საგუშაგოების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობა;

ყოველწლიურად 1 ნოემბრისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წარმოადგინონ ცნობები იმ სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ, რომელთაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს სრულიად საკავშირო ლაშქრობაში „ვუფრთხილდებოდეთ, ეფექტიანად ვიყენებდეთ მიწას“.

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკურ, საოლქო და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს დაევალათ ფართო პროპაგანდა გაუწიონ სრულიად საკავშირო ლაშქრობაში—„ვუფრთხილდებოდეთ, ეფექტიანად ვიყენებდეთ მიწას“— სახალხო დეპუტატთა საბჭოების მონაწილეობას, იმ დეპუტატთა, სამეურნეო ხელმძღვანელთა საქმიანობას, რომელთაც თავი გამოიჩინეს მიწისადმი მზრუნველი, ყაირათიანი დამოკიდებულებისათვის ლაშქრობაში.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქმიანობის 1983 წლის შედეგებისა და

1984 წელს ჩასატარებელ ძირითად ღონისძიებათა გეგმის შესახებ, განიხილა საკითხი სასურსათო პროგრამის შესაბამისად რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებსა და შიდა წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვისა და მისი მომრავლების მდგომარეობის თაობაზე და სხვა საკითხები.

ყველა მათგანზე მიღებულია სათანადო დადგენილება.